



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე მ ბ ა

2021 წელი 29 ოქტომბერი

152/04

№ _____

თბილისი

გადაწყვეტილება

2021 წლის 2 ივლისის №175 საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1. აღწერილობითი ნაწილი:

2021 წლის 2 ივლისს საქართველოს ეროვნულ ბანკში („ეროვნული ბანკი“) წარმოდგენილი იყო სს „ოპპას“ (ს/ნ: 248429598) („მომჩივანი“) საჩივარი №175 („საჩივარი“) შპს „გოა კრედიტის“ (ს/ნ: 405081192) („მოპასუხე“) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების საგარაუდო დარღვევის შესახებ.

ეროვნულმა ბანკმა განიხილა საჩივარი „კონკურენციის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საქმის მოკვლევის, საჩივრის/განცხადების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 მაისის №67/04 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურენციის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საქმის მოკვლევის, საჩივრის/განცხადების წარდგენისა და განხილვის წესის“ („საჩივრის განხილვის წესი“) შესაბამისად.

მომჩივანის პოზიციით, მოპასუხის მხრიდან აღგილი აქვს საჩივრის განხილვის წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებებს. აღნიშნული ეხება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესებით, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება და, ასევე „გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა.“

კერძოდ, მომჩივანის მითითებით, მოპასუხე მომჩივანს უდგენდა სხვა სავაჭრო პარტნიორებისგან განსხვავებულ პირობებს მომსახურების საკომისიოსთან დაკავშირებით. ასევე, მომჩივანის პოზიციით, მოპასუხე უარს ამბობდა თანამშრომლობაზე გამოგონილი მიზეზით და ითხოვდა მომჩივანისგან ბოდიშის მოხდას.

კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ერთი ეკონომიკური აგენტის ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის (ჯგუფური დომინანტური მდგომარეობის შემთხვევაში) მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია.

საჩივარში მითითებული მუხლით გათვალისწინებულ დარღვევას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე ფლობს დომინანტურ მდგომარეობას განსახილველ ბაზარზე. კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, დომინანტური მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან, მიწოდებლებისგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლება/არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება.

საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ. შესაბამისად, იმისათვის, რომ ეროვნულმა ბანკმა კონკრეტული საჩივრის საფუძველზე დაიწყოს საქმის მოკვლევა, აუცილებელია არსებობდეს გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი ნორმის დარღვევასთან დაკავშირებით.

ეროვნულ ბანკს, როგორც რეგულირებად ეკონომიკურ სფეროში კონკურენციის სამართლის აღმასრულებელ და კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს, უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. ამასთან, ეროვნული ბანკი ყურადღებით აფასებს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჩივრის დასაბუთებულობას. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ საჩივრის განხილვის წესის თანახმად, მომჩივანმა ეროვნულ ბანკში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები. მომჩივანი მხარედ განიხილება და მას ეკისრება საჩივარში საქმის გარემოებების დეტალური აღწერის და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება.

გარდა ამისა, ეროვნული ბანკისთვის მნიშვნელოვანია, შეზღუდული ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევის შედეგად მეტად სავარაუდოა სამართალდარღვევის დადგენა. საბოლოოდ, ფასდება მომჩივანის/მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საპირწონე არგუმენტები და მტკიცებულებები, ისევე როგორც საჯარო წყაროებიდან მოპოვებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ნებისმიერი ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში, ეროვნულ ბანკს, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, ასევე შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია მესამე პირებისგან. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად თავმოყრილი ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე კი ეროვნული ბანკი ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს და აღნიშნულის შესაბამისად მიიღება გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის შესახებ.

საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე ეროვნული ბანკი პირველ რიგში ამოწმებს, მოკვლევის დასაწყებად საჩივარში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები აკმაყოფილებენ თუ არა კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა კი გულისხმობს, რომ საჩივარში მითითებული ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონის რომელიმე ნორმას ან ნორმათა ერთობლიობას.

ეროვნული ბანკი განმარტავს, რომ აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს, იმ მატერიალური ნორმის არსებობას, რომელიც შესაძლოა ირღვეოდეს საჩივარში მითითებული ქმედების შედეგად და რომელიც მომჩივანს აქვს სადავოდ გამხდარი საჩივრის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, საჩივარი წარმოადგენილია კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საგარაუდო დარღვევის ფაქტზე. შესაბამისად, ეროვნული ბანკი, საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე, მსჯელობს სწორედ ამ მუხლის ამ კონკრეტული შემადგენლობის დარღვევის გონივრულ ეჭვზე.

იმისათვის, რომ მოცემულ შემთხვევაში, კანონის მე-6 მუხლი მიჩნეულ იქნეს მოკვლევის დაწყების შესაბამის საკანონმდებლო საფუძვლად, აუცილებელია, დასაშვებობის ეტაპზე არსებობდეს იმის გონივრული ეჭვი, რომ საჩივარში მითითებული ქმედება ექცევა აღნიშნული ნორმის დისპოზიციასში. დასახელებული ნორმის დარღვევის გონივრული ეჭვი კი სახეუა მაშინ, როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ ქმედება ხორციელდება დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ და ეს ქმედება წარმოადგენს შესაბამის ბაზარზე არსებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ვინაიდან ხსენებული ნორმის დამრღვევი ვერ იქნება პირი, რომელიც არ ფლობს დომინანტურ მდგომარეობას. შესაბამისად, გონივრული ეჭვი უნდა არსებობდეს ერთი მხრივ, დომინანტური მდგომარეობის ქონასა და მეორე მხრივ, ისეთი ქმედების განხორციელებასთან მიმართებაში, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. ერთ-ერთი წინაპირობის არ არსებობის შემთხვევაში კი ბუნებრივია ეროვნული ბანკი მოკვლევულია შესაძლებლობას, დაიწყოს საქმის მოკვლევა.

ეროვნული ბანკი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ კონკრეტული სუბიექტის დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტად მიჩნევისათვის, აუცილებელია შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 მაისის №68/04 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზისა და კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის“ („ბაზრის ანალიზის წესი“) მე-5 და მე-6 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირებისთვის უნდა შეფასდეს ბაზრის პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრები. შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა პროდუქტი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ პროდუქტის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე. ხოლო, ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები შეიძინონ განსაზღვრული პროდუქტი/მომსახურება.

მომჩივანის ძირითად საქმიანობის [REDACTED] ნაწილი არის საკუთარი და აგენტების საკუთარებაში არსებული გადახდის თვითმომსახურების კოსკვებით

მომხმარებლისთვის საგადახდო მომსახურების გაწევა, რომლის დროსაც კიოსკში გადახდის ოპერაციის მიხედვით ითვლება მომსახურების საკომისიო (მომსახურე პროვაიდერის შემოსავალი), ხოლო მოპასუხის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სესხების გაცემა, რომელთა დაფარვა ხორციელდება პერიოდული შენატანების/გადასახდელების სახით გადახდის სხვადასხვა არხების, მათ შორის კიოსკების საშუალებით, აღნიშნული გადახდების განხორციელების „არ დაშვება“ მოპასუხის მხრიდან მომჩივანის საგადახდო მომსახურების არხებში წარმოადგენს საჩივრის ძირითად და არსებით საგანს.

ბაზრის პროდუქციული საზღვრის დასადგენად ეროვნულმა ბანკმა იმსჯელა მომსახურების (სესხის დაფარვის მიზნით გადახდის ოპერაციების განხორციელების) ჩანაცვლებადობაზე. კერძოდ, ეროვნული ბანკის შეფასებით, გადახდის თვითმომსახურების კიოსკები, რომლებიც ფაქტიურად ადამიანური რესურსის ჩარევის გარეშე 24 საათიანი უწყვეტი მომსახურების მიწოდების შესაძლებლობით ხასიათდება, ნაღდი ფულის ოპერაციების ჭრილში არ არის ჩანაცვლებადი ადამიანურ ფაქტორზე დამოკიდებული სხვა საგადახდო არხებით, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ნაღდი ფულით ოპერაციის განხორციელება. აღნიშნულის მიზეზი არის ის, რომ აღნიშნული არხები ვერ უზრუნველყოფენ მომსახურებას საქართველოს მთელი მასშტაბით 24 საათიან რეჟიმში, არასამუშაო დღეებსა და საათებში. ბაზრის პროდუქციული საზღვრების დასადგენად, ეროვნული ბანკის მიერ ასევე შეფასდა ჩანაცვლებადობის საკითხი საგადახდო მომსახურების პროვაიდერის (მომჩივანის) მხრიდან. კერძოდ, ეროვნულმა ბანკმა შეაფასა სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტებისათვის კიოსკების მეშვეობით სესხის დაფარვის მომსახურების გაწევა რამდენად არის სს „ოპპასთვის“ ჩანაცვლებადი მომსახურება. საქართველოში, სესხის გაცემა, ძირითადად, ხორციელდება კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სესხის გამცემი სუბიექტების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირის მიერ. ეროვნული ბანკის შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში, სესხების დაფარვის მიზნით კიოსკების მეშვეობით გადახდების მომსახურების მიწოდებისას, მომჩივანისთვის როგორც ამ მომსახურების მიმწოდებლისთვის, სხვადასხვა სუბიექტების მიერ გაცემული სესხები არ განსხვავდება იმის მიხედვით თუ რომელი სუბიექტი იქნება სესხის გამცემი ორგანიზაცია. მომჩივანს, სესხის გამცემი ორგანიზაციების სიმრავლიდან გამომდინარე, შეუძლია ერთი სესხის გამცემი ორგანიზაციისთვის საგადახდო მომსახურების გაწევა ჩანაცვლოს სხვა სუბიექტისათვის იგივე მომსახურების გაწევით (მათ გაცემულ სესხზე გადახდების/დაფარვების კიოსკებში მიღების ჭრილში). 2021 წლის 25 ოქტომბრის მდგომარეობით საქართველოში ეროვნული ბანკის მიერ რეგულირებადი სესხის გამცემი ორგანიზაციების რაოდენობა მოიცავს 15 კომერციულ ბანკს, 39 მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, 184 სესხის გამცემ სუბიექტს, 1 არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირს, ჯამში - 239 სესხის გამცემ ორგანიზაციას. კონკურენტული პირობების შეთავაზების შემთხვევაში მომჩივანს შესაძლებლობა აქვს საქმიანი ურთიერთობა დაამყაროს აღნიშნულ 239 სესხის გამცემ სუბიექტთან. შესაბამისად, ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა სესხის გამცემი ორგანიზაციის მიერ გაცემული სესხების დაფარვების მიზნით კიოსკების მეშვეობით განხორციელებული გადახდები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბაზრის განსაზღვრის და ამ ბაზარზე მოპასუხის დომინანტური მდგომარეობის დადგენის მიზნით, ბაზრის პროდუქციულ საზღვრად ეროვნულმა ბანკმა დაადგინა „გადახდის თვითმომსახურების კიოსკების მეშვეობით სესხის დაფარვის მიზნით განხორციელებული გადახდების ბაზარი“. გეოგრაფიულ საზღვრად ეროვნულმა ბანკმა დაადგინა საქართველოს მთელი ტერიტორია, რამდენადაც თვითმომსახურების კიოსკები, რომელთა საშუალებით ხორციელდება გადახდები სესხების დაფარვის მიზნით, წარმოდგენილია საქართველოს დიდ ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში. აღნიშნული, თავის მხრივ, შესაბამის გეოგრაფიულ არეალში კიოსკების მეშვეობით საგადახდო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე მიუთითებს. გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ კონკრეტულ მომსახურებაზე მოთხოვნის გათვალისწინებით, ეკონომიკური სარგებლის/ეფექტურობის ზრდის მიზნით შესაძლებელია აპარატის ადგილმდებარეობის ცვლილება, რაც მნიშვნელოვან დანახარჯებთან არ არის დაკავშირებული.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბაზრის ანალიზის წესის მე-8 მუხლის თანახმად, ბაზრის მოცულობა წარმოადგენს დროის განსაზღვრულ პერიოდში ბაზარზე მიწოდებული პროდუქტის/მომსახურების რეალიზაციის მოცულობას. ბაზრის მოცულობის დასადგენად საანალიზო პერიოდად ეროვნული ბანკის მიერ განისაზღვრა 2020 წელი (ყახლესი სრული წელი).

საჩივრის განხილვის წესის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ეროვნულმა ბანკმა მომჩივანისგან გამოითხოვა ინფორმაცია 2020 წლის განმავლობაში მათ კიოსკებში სესხის დაფარვის ფუნქციონალით შესრულებული გადახდების მოცულობის შესახებ. მომჩივნის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2020 წლის განმავლობაში კიოსკებში შესრულებული სესხის გადახდების მოცულობამ [REDACTED] ლარი შეადგინა. ეროვნულმა ბანკმა ასევე გამოითხოვა ინფორმაცია მოპასუხისგან, მოპასუხის სასესხო პორტფელზე 2020 წლის განმავლობაში სესხის ფაქტიური შენატანების/გადახდების საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ქსელში მთელი მოცულობის თაობაზე. მოპასუხის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულმა შეადგინა [REDACTED] ლარი. შედეგად, ეროვნულმა ბანკმა დაადგინა, რომ მოპასუხის საანალიზო მაჩვენებლის წილი მომჩივანის მონაცემებთან მიმართებაში შეადგენს [REDACTED] (40%-ზე ნაკლები).

2. დასაბუთება:

დომინანტურ მდგომარეობას კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი განმარტავს. ზოგადი განმარტების თანახმად, დომინანტური მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან, მიწოდებლებისგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. კანონის ამავე მუხლის მიხედვით, თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლება/არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. შესაბამისად, ვინაიდან

2020 წლის განმავლობაში, მოპასუხის საკუთარ სასესხო პორტფელზე, საგადახდო მომსახურების პროვაიდერების ქსელში, სესხის ფაქტიური შენატანების/გადახდების მთელი მოცულობა, მომჩივნის კოსსეკში შესრულებული სესხის გადახდების მოცულობის (██████████ ლარი) მხოლოდ ██████████ (40%-ზე ნაკლები) შეადგენს, ეროვნულმა ბანკმა აღარ მიიჩნია მიზანშეწონილად მთელი ბაზრის მოცულობის მოკვლევა. აღნიშნულის მიზეზი ისაა, რომ ბაზრის ყველა მონაწილის ჯამური მონაცემების მიმართ, მოპასუხის მონაცემები კიდევ უფრო მცირე წილს დაიკავებდა. ამასთანავე, ეროვნული ბანკის ხელთ არსებული ინფორმაციით, არ არსებობს სხვა მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა შესაბამის ბაზარზე მოპასუხის დომინანტურ მდგომარეობაზე, რაც გამორიცხავს აღნიშნულის თაობაზე გონივრული ეჭვის არსებობას.

შესაბამისად, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს, ვინაიდან სახეზე არ არის კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების დარღვევის გონივრული ეჭვი.


3. სარეზოლუციო ნაწილი:

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, 31-ე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების, „კონკურენციის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული საქმის მოკვლევის, საჩივრის/განცხადების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 28 მაისის №67/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტებსა და აღმასრულებელ დირექტორს შორის ფუნქციების განაწილების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 28 იანვრის N13/04 ბრძანების შესაბამისად,

ეროვნულმა ბანკმა დაადგინა:

1. საჩივარი ცნოს მატერიალურად დაუშვებლად და მომჩივანს უარი ეთქვას საქმის მოკვლევის დაწყებაზე.
2. საქართველოს ეროვნული ბანკის ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარეთათვის გაცნობიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

ვიცე-პრეზიდენტი



არჩილ მესტვირიშვილი